საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №147

ქ. ბათუმი 27 დეკემბერი, 2018 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის და რექტორის მოადგილის, ნ. წიკლაშვილის 2018 წლის 27 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1667323) საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება, კერძოდ, დადგენილების N1 დანართის:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

,,1^1. ბსუ-ს პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაზრდისა და ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის, მიზნობრივი პროექტის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით შესაძლებელია შეიზღუდოს გასული წლის გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის (მენეჯერის/სამეცნიერო ხელმძღვანელის) მიერ საკონკურსო განაცხადის წარდგენა, რაც არ გამორიცხავს ბსუ-ს სხვა მიზნობრივ პროექტში შემსრულებლის სახით მის მონაწილეობას."

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. თითოეულ პროექტში სავალდებულოა ბსუ-ს სტუდენტის მონაწილეობა (უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მე-4, მე-5 ან მე-6 სასწავლო წლის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი). ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო–კვლევითი პროექტის შემთხვევაში, სავალდებულოა პროექტში მონაწილე თითოეული ფაკულტეტიდან (მიმართულებიდან) არანაკლებ 1 (ერთი) სტუდენტის და არანაკლებ 1 (ერთი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის ჩართულობა.";

გ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2¹. პროექტში შესაძლებელია ბსუ-ს იმ სტუდენტის მონაწილეობა, რომელსაც წინა სემესტრების სასწავლო კურსებში მიღებული აქვს 71 ქულა და მეტი (საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა:

$$\frac{A^1 \times B^1 + A^2 \times B^2 \ldots}{A^1 + A^2 \ldots}$$ A- საგნის კრედიტი, B - შეფასების ქულა.);

დ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი (პირველი წინადადება) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოს დასრულებული პროექტის შედეგების შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენა საერთაშორისო რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალში (ამასთან, პუბლიკაციის გამოქვეყნებისას მითითებული უნდა იყოს, რომ პროექტი/კვლევა დაფინანსდა ბსუ-ს მიერ). პროექტის ხელმძღვანელი ასევე ვალდებულია შესაბამისი პროექტის განხორციელების დაწყებიდან ნახევარი ეტაპის გასვლის შემდეგ, ასევე დასრულებისას წარუდგინოს:“;

ე) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. პროექტის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ საერთაშორისო რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების შესახებ წერილობითი ინფორმაცია და შესაბამისი მტკიცებულება (გამოცემის დასახელება, წელი, თვე, ნომერი, გამოცემის ადგილი შესაბამისი ელექტრონული მისამართის მითითებით ან სარედაქციო კოლეგიის მიერ წარმოდგენილი ცნობა სტატიის გამოსაცემად მიღების შესახებ და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) პროექტის ხელმძღვანელმა უნდა წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 თვისა.“;

ვ) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ პუნქტი:

„გ) წინამდებარე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში წარდგინებით მიმართოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიზნობრივი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ პროექტის ბიუჯეტიდან მიღებული შრომის ანაზღაურების 40%-ის ბსუ-ს ანგარიშზე დაბრუნების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.“

ზ) მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. პროექტის გეგმა-გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში შესასრულებელი აქტივობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კალენდარული წლის 15 დეკემბერს, ხოლო პროექტის ბიუჯეტის ცვლილება არ უნდა იწვევდეს ბიუჯეტის გაზრდას ან/და წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევას.“

2. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. დადგენილება და კოდიფიცირებული №36 დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში